

რადიოების საარჩევნო მონიტორინგი

27 ოქტომბერი - 15 ნოემბერი

„ინტერნიუსი-საქართველო“, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის, „პროფესიონალური მედია არჩევნებისთვის“, ფარგლებში ახორციელებს რადიოარხების მონიტორინგს. მონიტორინგი 15 ივნისს დაიწყო და 15 ნოემბრის ჩათვლით გაგრძელდა. იგი მოიცავს 12 რადიომაუწყებლის სადამოს საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგს. ესენია: „რადიო 1“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი), „იმედი“, „ფორტუნა“, „რადიო თავისუფლება“, „პალიტრა“, „პირველი რადიო“, „მწვანე ტალღა“, „ჰერეთი“, „მველი ქალაქი“, „ათინათი“, „მაესტრო“ და „აჭარა“.

რადიოარხების მონიტორინგმა (27 ოქტომბერი - 15 ნოემბერი) შემდეგი ძირითადი მიგნებები გამოავლინა:


- ყველაზე მეტი დრო მთავრობას, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და კოალიცია „ქართულ ოცნებას“ დაეთმო.
- არჩევნების დღეს რადიომაუწყებლების უმეტესობა მსმენელს ოპერატიულად აწვდიდა ინფორმაციას არჩევნების მიმდინარეობის შესახებ;
- 1 ნოემბრიდან საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული გიორგი მარგველშვილის გარდა, სხვა კანდიდატებს დრო თითქმის აღარ ეთმობოდათ;
- სიუჟეტები ხშირად მხოლოდ ერთ წყაროს ეყრდნობოდა და გავრცელებული ინფორმაცია სხვადასხვა წყაროებთან გადამოწმებული არ იყო;
- ისევე როგორც წინასაარჩევნო პერიოდში არჩევნების შემდგომაც შეინიშნებოდა კრიტიკული კითხვების ნაკლებობა ჟურნალისტების მხრიდან. სიუჟეტები, ძირითადად, პოლიტიკოსების განცხადებების მშრალი ციტირებით შემოიფარგლებოდა.
- არჩევნების შემდეგ კიდევ უფრო შემცირდა ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის ტენდენციურად, მხოლოდ დადებით ან უარყოფით კონტექსტში გაშუქება;
- ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ და არც ხმით / მუსიკით მანიპულაციის ან სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები დაფიქსირებულა.

„რადიო 1“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი)

„რადიო 1-მა“ მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 53 წუთი დაუთმო. მათ შორის ყველაზე დიდი დრო მთავრობაზე (31%), „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (15%) და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე (14%) მოდიოდა. საპარლამენტო უმცირესობის გარდა, ოპოზიციურ პარტიებს წუთზე მეტი დრო არ დათმობიათ. ამასთან, არჩევნებში გამარჯვებული გიორგი მარგველაშვილის გარდა, პრეზიდენტობის სხვა კანდიდატებიც არ გაშუქებულან.

ეთერში გასული ახალი ამბების გამოშვებები აღწერილობითი ხასიათის იყო და მონიტორინგის სუბიექტების აქტივობების გაშუქებისას კრიტიკული მიდგომა არ იგრძნობოდა. ჟურნალისტები პოლიტიკოსთა განცხადებების ციტირებით შემოიფარგლებოდნენ და არც სუბიექტების პირდაპირ საუბარს ეთმობოდა დრო. მსგავსი ზედაპირული გაშუქება ნეიტრალური გაშუქების მაღალ მაჩვენებელზე აისახა.

ჟურნალისტის მხრიდან არ დაფიქსირებულა ეთიკის სტანდარტების დარღვევისა და მიკერძოებული გაშუქების შემთხვევები.




„პირველი რადიო“

„პირველმა რადიომ“ მონიტორინგის სუბიექტებს 3 საათი და 25 წუთი დაუთმო. ამ დროის 26% მთავრობა შეუქდებოდა, 20-20% კი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და კოალიცია „ქართულ ოცნება“. სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ნახევარზე მეტი პირდაპირ საუბარზე მოდიოდა, რაც დადებითი და უარყოფითი ტონის მატებაზე აისახა.

არჩევნების დღეს საინფორმაციო გამოშვების ფორმატი არ შეცვლილა: ჟურნალისტებმა სიუჟეტები საარჩევნო უბნებზე არსებულ მდგომარეობაზე მოამზადეს, რაც ძირითადად პოლიტიკოსების განცხადებების გაშუქებით შემოიფარგლა.

წინა საანგარიშო პერიოდისგან განსხვავებით, ხელისუფლების უარყოფით კონტექსტში წარმოჩენის ტენდენცია არ გამოვლენილა. ჟურნალისტები ნაკლებად სვამდნენ კრიტიკულ კითხვებს და მოვლენებს სუბიექტური შეფასებების გარეშე აშუქებდნენ.




რადიო „პალიტრა“

რადიო „პალიტრამ“ მონიტორინგის სუბიექტებს 3 საათი და 55 წუთი დაუთმო. ამ დროის 35% მთავრობა გაშუქდა, 17% - "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", 15% - პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. არჩევნების დღეს, 27 ოქტომბერს, საინფორმაციო გამოშვება მთლიანად არჩევნების თემატიკას მიეძღვნა: სიუჟეტებში გვხვდებოდა კორესპონდენტების პირდაპირი ჩართვები მოვლენათა ეპიცენტრიდან, სადაც ჟურნალისტები საარჩევნო უბნებსა და პოლიტიკური პარტიების ოფისებში მიმდინარე მოვლენებს ოპერატიულად გადმოსცემდნენ.

მთლიანობაში, ჟურნალისტები მოვლენების ზედაპირული გაშუქებით არ შემოიფარგლებოდნენ და პოლიტიკოსების აქტივობების შესახებ კრიტიკულ კითხვებსაც სვამდნენ. მაგალითად, ჟურნალისტები ცდილობდნენ გაერკვიათ, თუ რა საფრთხის შემცველი შეიძლება ყოფილიყო მთავრობის ესა თუ ის გადაწყვეტილება.

რადიო „პალიტრას“ სიუჟეტები დაბალანსებული იყო. აზრის გამოთქმის საშუალება ეძლეოდათ, როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს. მოვლენების მრავალფეროვანი გაშუქება ტონთა სიჭრელეშიც აისახა.



რადიო „მწვანე ტალღა“


რადიო „მწვანე ტალღამ“ მონიტორინგის სუბიექტები საათი და 50 წუთი გააშუქა. ყველაზე მეტი დრო მთავრობას (28%), არჩევნებში გამარჯვებულ კანდიდატ გიორგი მარგველაშვილს (16%) და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (13%) დაეთმო. არჩევნების დღეს განსაკუთრებით ვრცელი საინფორმაციო გამოშვება მომზადდა: სიუჟეტებში საუბარი იყო საარჩევნო უბნებზე არსებულ მდგომარეობაზე, პოლიტიკოსების მიერ ხმის მიცემის შემდეგ გაკეთებულ განცხადებებსა და დამკვირვებლების დაფიქსირებულ დარღვევებზე. 27 ოქტომბერს რადიომაუწყებელმა ოპერატიულად იმუშავა.

არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ, საინფორმაციო გამოშვება ჩვეულ ფორმატს დაუბრუნდა. ჟურნალისტები მოვლენებს კვლავაც ზედაპირულად გადმოსცემდნენ.

რადიო „მწვანე ტალღა“ მოვლენებს მიუკერძოებლად აშუქებდა და არცერთი პოლიტიკური ძალის მიმართ ტენდენციური არ ყოფილა. სიუჟეტებში მონიტორინგის სუბიექტების პირდაპირი საუბარიც გვხვდებოდა. თუმცა, პრობლემად რჩებოდა კრიტიკული კითხვების ნაკლებობა, რაზეც სუბიექტების დადებით ტონში გაშუქების მაღალი მაჩვენებელიც მიუთითებს.

რადიო მწვანე ტალღაზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით (%)

■ დადებითი ■ ნეიტრალური ■ უარყოფითი




რადიო „თავისუფლება“

რადიო „თავისუფლებამ“ მონიტორინგის სუბიექტებს 2 საათი და 31 წუთი დაუთმო. ამ დროის 26% „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ დაეთმო, 22% - მთავრობასა და 14% - მიხეილ სააკაშვილს. მონიტორინგის სუბიექტებს პირდაპირი საუბრის საშუალებაც ეძლეოდათ.

არჩევნების დღეს რადიომაუწყებელმა თბილისსა და რეგიონებში საარჩევნო უბნებზე არსებული მდგომარეობა მიმოიხილა: გაშუქდა დამკვირვებლების მიერ გამოვლენილი დარღვევები და პოლიტიკოსთა შეფასებები.

რადიომაუწყებელი ახალი ამბების ირგვლივ სხვადასხვა წყაროთა მოსაზრებებს აშუქებდა, შესაბამისად ინფორმაცია მრავალფეროვანი და დაბალანსებული იყო. ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს დაუგროვდათ, თუმცა ეს სიუჟეტების თემატიკით იყო განპირობებული და არა ტენდენციური გაშუქებით. ეთერში გასული სიუჟეტები

მიუკერძოებელი და სიღრმისეული იყო. ჟურნალისტების დასკვნები ყოველთვის ეთერში გასულ ინფორმაციას ეყრდნობოდა.




რადიო „მაესტრო“

რადიო „მაესტრომ“ მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებას სამი საათი და 14 წუთი დაუთმო. ამ დროის ყველაზე დიდი წილი მთავრობაზე (34%), პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა (13%) და კოალიცია „ქართულ ოცნებაზე“ (13%) მოდიოდა. მონიტორინგის სუბიექტები საშუალოდ 80%-ით ნეიტრალურ ტონში გაშუქდნენ. აღსანიშნავია, რომ ეთერი მათ პირდაპირ საუბარს ნაკლებად ეთმობოდა: ჟურნალისტები პოლიტიკოსთა განცხადებებს თავად ციტირებდნენ.

გამოშვებებში არ მზადდებოდა ანალიტიკური სიუჟეტები, წამყვანი მშრალად გადმოსცემდა მოვლენებს. ჟურნალისტი ნაკლებად კრიტიკული იყო მონიტორინგის სუბიექტების მიმართ, თუმცა მისი მხრიდან მიკერძოების ტენდენცია არ იკვეთებოდა. არჩევნების დღის, 27 ოქტომბრის გამოშვებაში დეტალურად იყო მოწოდებული

ინფორმაცია პოლიტიკური სუბიექტების მიერ ხმის მიცემის პროცესის და საარჩევნო უბნებზე მიმდინარე მოვლენების შესახებ.



რადიო „ფორტუნა“


ახალი ამბების ხუთწუთიან გამოშვებებში წამყვანი ქვეყანაში განვითარებულ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებს მოკლედ მიმოიხილავდა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ყველაზე დიდი დრო მთავრობის (10 წთ.) და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (5 წუთი) გაშუქებას დაეთმო. მთლიანობაში კი მონიტორინგის სუბიექტებს 31 წუთი დაეთმო.

27 ოქტომბრის ექვსსაათიანი გამოშვება ეთერში ჩვეული ფორმატით გავიდა და იგი მოსახლობას არჩევნების მიმდინარეობის და ამომრჩევლის აქტივობის შესახებ აწვდიდა

ინფორმაციას. გადაცემის მსვლელობისას ჟურნალისტი ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან პირდაპირ ეთერში ჩაერთო.

მთლიანობაში, გადაცემები მოკლე, აღწერილობითი ხასიათის იყო და პოლიტიკოსების განცხადებების ციტირებით შემოიფარგლებოდა. წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, მონიტორინგის სუბიექტების პირდაპირ საუბარს დრო არ ეთმობოდა.

ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ და რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას არ გამოხატავდნენ.



რადიო „იმედი“


რადიო „იმედზე“ მონიტორინგის სუბიექტებს საათი და 46 წუთი დაეთმოთ. აქედან ყველაზე დიდი დრო მთავრობისა და კოალიცია „ქართული ოცნების“ გამუქებაზე მოდიოდა, რამაც საერთო დროის 48% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მათ პირდაპირი საუბრისთვისაც ყველაზე დიდი დრო დაეთმოთ.

ჟურნალისტები მოვლენებს სუბიექტური შეფასებების გარეშე, თუმცა, ზედაპირულად აშუქებდნენ, რასაც დიაგრამებზე წარმოდგენილი ნეიტრალური ტონის ჭარბი მაჩვენებელიც მოწმობს.

ხშირად ახალი ამბების გამოშვებების პირველ ნაწილში პოლიტიკოსებთან ინტერვიუ იყო წარმოდგენილი. ჟურნალისტი რესპონდენტს დღის აქტუალურ თემასთან დაკავშირებით ესაუბრებოდა, დეტალურად ინტერესდებოდა საკითხით და ცდილობდა ამომწურავი პასუხები მიეღო. იგი შეკითხვების დასმის დროს საკუთარ პოზიციას არ გამოხატავდა. პოლიტიკოსს საშუალება ეძლეოდა საკუთარი აზრი ბოლომდე დაეფიქსირებინა.

27 ოქტომბერს, საპრეზიდენტო არჩევნების დღეს ახალი ამბების გამოშვება სტანდარტული ფორმატით გავიდა ეთერში და იგი მოსახლეობას დღის განმავლობაში განვითარებულ მოვლენებსა და არჩევნების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას დეტალურად აცნობდა.

რადიო იმედზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით (%)




რადიო ათინათი (ქ. ზუგდიდი)

რადიო „ათინათმა“ მონიტორინგის სუბიექტებს 28 წუთი დაუთმო, საიდანაც 31% მთავრობაზე მოდიოდა, 16% - „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე“ და 15% - კოალიცია „ქართულ ოცნებაზე“. არჩევნების დღეს საინფორმაციო გამოშვების ფორმატი არ შეცვლილა: ხუთწუთიან გამოშვებაში ჟურნალისტებმა მოკლედ მიმოიხილეს საარჩევნო უბნებზე არსებული მდგომარეობა.

რადიომაუწყებელი, ძირითადად, რეგიონში მიმდინარე მოვლენებს აშუქებდა. საინფორმაციო გამოშვებები ზედაპირული იყო, რაც ნეიტრალური ტონის მაღალი მაჩვენებლითაც დასტურდება. სიუჟეტები, ზოგჯერ, დაუბალანსებელია და მხოლოდ ერთი წყაროს პოზიციებს აშუქებს. თუმცა, არ გამოვლენილა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ ტენდენციური მიდგომის შემთხვევები. როგორც ხელისუფლებას, ასევე ოპოზიციას დაახლოებით თანაბარი დადებითი და უარყოფითი ტონის მაჩვენებელი

დაუგროვდათ. ჟურნალისტები მოვლენებს მიუკერძოებლად და სუბიექტური შეფასებების გარეშე აშუქებდნენ.



რადიო „მველი ქალაქი“ (ქ. ქუთაისი)


რადიო „მველი ქალაქი“ მონიტორინგის სუბიექტებს 38 წუთი დაუთმო. პირველ ადგილზეა მთავრობა 13 წუთით, მეორეზე - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 10 წუთით და მესამეზე - კოალიცია „ქართული ოცნება“ 5 წუთით.

ახალი ამბების გამოშვებებში გასული ინფორმაცია უარყოფითად წარმოაჩენდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“ და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. ხელისუფლების აქტივობები კი ყოველგვარი კრიტიკის გარეშე შუქდებოდა.

არჩევნებთან დაკავშირებით არ მომზადებულა სიუჟეტები, სადაც ჟურნალისტები სხვადასხვა პოლიტიკური გუნდის მოსაზრებებს გააშუქებდნენ. საპრეზიდენტო

კანდიდატებიდან წუთზე მეტი დრო მხოლოდ გამარჯვებულ კანდიდატ გიორგი მარგველაშვილს დაეთმო.

სიუჟეტები ხშირად ერთ წყაროს ეყრდნობოდა და მოვლენების ირგვლივ განსხვავებული შეხედულებები არ შუქდებოდა. ზედაპირული გაშუქების ერთ-ერთი მიზეზი საინფორმაციო გამოშვებების ხანგრძლივობაა, რომელიც საშუალოდ 5 წუთი იყო.




რადიო „ჰერეთი“ (ქ. ლაგოდეხი)

რადიო „ჰერეთმა“ მონიტორინგის სუბიექტებს 54 წუთი დაუთმო. ამ დროის 29% მთავრობას დაეთმო, 18% - "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას", 14% - კოალიცია "ქართულ ოცნებას". კვლავ შენარჩუნებულია ტენდენცია, რომ ჟურნალისტები პოლიტიკოსების აქტივობების მიმართ კრიტიკულ კითხვებს არ სვამენ. შესაბამისად, მთავრობა, რომელსაც ყველაზე მეტი დრო დაეთმო, უარყოფით ტონში არ გაშუქებულა.

ხოლო, სხვა სუბიექტების მიმართ გამოვლენილი უარყოფითი ტონი ოპონენტთა კრიტიკულმა განცხადებებმა გამოიწვია.

27 ოქტომბერს, არჩევნების დღეს, ჟურნალისტები საარჩევნო უბნებზე არსებულ მდგომარეობას აშუქებდნენ. დამკვირვებლების მიერ დაფიქსირებული დარღვევების შესახებ მოკლე ახალი ამბები მომზადდა. საპრეზიდენტო კანდიდატებიდან წუთზე მეტი დრო მხოლოდ გიორგი მარგველაშვილსა (კოალიცია "ქართული ოცნება") და შალვა ნათელაშვილს ("ლეიბორისტული პარტია") დაეთმო.

მოკლე ახალი ამბები ხშირად ერთ წყაროს ეყრდნობოდა და სხვადასხვა პოლიტიკური ძალების შეხედულებების გაშუქებას მცირე დრო ეთმობოდა. თუმცა, ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ და მონიტორინგის არცერთი სუბიექტის მიმართ მიკერძოებულები არ ყოფილან.




რადიო „აჭარა“

რადიო „აჭარა“ მოკლე საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებდა. არხმა მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 14 წუთი დაუთმო: თითქმის 5 წუთი მთავრობას, 3 წუთი და 32 წამი - „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და 2 წუთი - პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს.

აღსანიშნავია, რომ რადიო „აჭარას“ არჩევნების თემაზე აქცენტი არ გაუკეთებია არც წინასაარჩევნო პერიოდში და არც მის შემდგომ. არჩევნების დღესა და მის მომდევნო პერიოდში საპრეზიდენტო კანდიდატებიდან მხოლოდ გამარჯვებული კანდიდატი, გიორგი მარგველაშვილი, გაშუქდა.

ჟურნალისტები მოვლენებს მშრალად, თუმცა მიუკერძოებლად აშუქებდნენ: ახალი ამბების გაშუქება მხოლოდ პოლიტიკოსთა განცხადებების პირდაპირი ციტირებით შემოიფარგლებოდა. არ ეთმობოდა დრო სუბიექტების პირდაპირ საუბარს.



დასკვნა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (27 ოქტომბერი - 15 ნოემბერი) რადიომაუწყებლები მოვლენებს მიუკერძოებლად აშუქებდნენ. გასული თვეების მონიტორინგის შედეგებთან შედარებით, კიდევ უფრო შემცირდა ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის აშკარად დადებით ან უარყოფით კონტექსტში გაშუქების შემთხვევები. თუმცა, რადიომაუწყებლების უმეტესობაზე სიუჟეტები მაინც მშრალი და ზედაპირული იყო. გამონაკლისს წარმოადგენდა რადიო „თავისუფლებისა“ და რადიო „პალიტრის“ ახალი ამბები. ამ რადიოარხების ჟურნალისტები თემის ირგვლივ არსებულ განსხვავებულ მოსაზრებებს აშუქებდნენ და თავადაც სვამდნენ კრიტიკულ კითხვებს.

27 ოქტომბერს, არჩევნების დღეს, რადიომაუწყებლების უმეტესობამ ოპერატიულად იმუშავა, რაც საარჩევნო უბნებიდან პირდაპირი ჩართვების მომზადებაში, დამკვირვებელთა მიერ დაფიქსირებული დარღვევების გაშუქებაში, არასამთავრობო სექტორის შეფასებების წარმოჩენასა და პოლიტიკოსთა განცხადებების მიმოხილვაში გამოიხატა.

მთლიანობაში, რადიომაუწყებლების მთავარ პრობლემად პოლიტიკოსების განცხადებებისა თუ აქტივობების კრიტიკული მიდგომის გარეშე გაშუქება რჩებოდა. ამასთან, რადიომაუწყებლების უმეტესობაზე ერთმანეთის იდენტური სიუჟეტები მზადდებოდა და განსხვავებული თემები არ შუქდებოდა. შესაბამისად, ცალკეული რადიომაუწყებლის ჟურნალისტები ნაკლებად იჩენდნენ ინიციატივას, რომ პრობლემა დამოუკიდებლად აღმოეჩინათ და თემის ირგვლივ ხელისუფლების, ოპოზიციისა და არასამთავრობო სექტორის შეხედულებები გაეშუქებინათ.

საინფორმაციო გამოშვებებში დაცულია ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტები. არ დაფიქსირებულა ხმით / მუსიკით მანიპულაციისა ან სიმულვილის ენის გამოყენების შემთხვევები.